

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და ლიგვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ლიგვის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში „მხარეებად“
წოდებულნი,

სურთ ნაცვალგების საფუძველზე განავითარონ ორ ქვეყანას შორის სამგზავრო და
სატვირთო, ასევე, მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით მიმოსვლა, აგრეთვე, სურთ გაამარტივონ ეს
მიმოსვლა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოქმედების სფერო მუხლი 1

ამ შეთანხმების შესაბამისად, მგზავრობა, ტურისტების ჩათვლით, რეგულარული და
არარეგულარული გადაყვანა, ასევე, ორ ქვეყანას შორის და მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით
ტვირთების გადაზიდვა განხორციელდება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის
გახსნილ გზებზე საქართველოში ან ლიგვის რესპუბლიკაში რეგისტრირებული
ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

მგზავრობის გადაყვანა მუხლი 2

1. ავტობუსებით მგზავრობის რეგულარული გადაყვანა ორგანიზებულ იქნება მხარეთა
კომპეტენტური ორგანოებს შორის შეთანხმებით.

2. მგზავრობის ასეთი გადაყვანის ორგანიზებასთან დაკავშირებულ წინადადებებს მხარეთა
კომპეტენტური ორგანოები წინასწარ წარუდგენენ ერთმანეთს. ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს
მონაცემებს გადაზიდვის ფორმის დასახელების, სვლაგემის, მოძრაობის განრიგის, ტარიფების,
გაჩერების პუნქტების, სადაც გადაზიდვა მოახდენს მგზავრობის ჩასხდომისა და გადმოსხდომის,
და აგრეთვე მოსალოდნელი გადაყვანების შესრულების პერიოდულობისა და რეგულარობის
შესახებ.

მუხლი 3

1. ორ ქვეყანას შორის, ან მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით მგზავრობა ავტობუსებით
არარეგულარული გადაყვანის განხორციელება, გარდა ამ შეთანხმების მე-4 მუხლში

გათვალისწინებული გადაყვანებისა, საჭიროებს ნებართვებს, რომლებიც გაიცემა მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

2. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ნებართვებს ვასცემენ გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის მათ ტერიტორიაზე.

3. ავტობუსით მგზავრების თითოეული არარეგულარული გადაყვანისათვის უნდა გაიცეს ცალკეული ნებართვა, რომელიც იძლევა ერთი რეისის განხორციელების უფლებას პირდაპირი და უკუმიმართულებით, თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული ამ ნებართვაში.

4. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს ყოველწლიურად გადასცემენ ურთიერთშეთანხმებული რაოდენობის ნებართვის ბლანკებს მგზავრთა არარეგულარული გადაყვანისათვის. ამ ბლანკებს უნდა ჰქონდეთ ნებართვის გამცემი კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და ხელმოწერა.

მუხლი 4

1. ავტობუსებით მგზავრების არარეგულარული გადაყვანა არ საჭიროებს ნებართვებს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე შემადგენლობის მგზავრთა ჯგუფი მთელი მგზავრობის განმავლობაში გადაიყვანება ერთი და იგივე ავტობუსით:

a) თუ ეს მგზავრობა იწყება და მთავრდება იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავტობუსი.

b) თუ ეს მგზავრობა იწყება იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავტობუსი და მთავრდება მეორე მხარის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ავტობუსი გოვებს ამ ტერიტორიას ან შემოდის იქ ცარიელი.

2. გაუმართავი ავტობუსის სხვა ავტობუსით შეცვლა ნებართვას არ საჭიროებს.

3. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული გადაზიდვების შესრულებისას ავტობუსის მძღოლმა თან უნდა იქონიოს მგზავრთა სია.

ტვირთის გადაზიდვა

მუხლი 5

1. ტვირთების გადაზიდვა ორ ქვეყანას შორის ან მათ ტერიტორიებზე გრანზიტივით, გარდა ამ შეთანხმების მე-6 და მე-8 მუხლებში გათვალისწინებული გადაზიდვებისა, ხორციელდება მისაბმელების გარეშე, ან ნახევარმისაბმის მქონე მაწევარით, ნებართვის საფუძველზე, რომლებიც გაიცემა მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

2. ნებართვა გაიცემა თითოეულ ავტოსაგრანსპორტო საშუალებაზე და მოქმედია მხოლოდ იმ გადაზიდვისათვის, რომელზეც გაიცა ეს ნებართვა.

3. ტვირთის ყოველი გადაზიდვისათვის, რომელიც ხორციელდება სატვირთო ავტოსაგრანსპორტო საშუალებით, უნდა გაიცეს ცალკე ნებართვა, რომელიც უფლებას იძლევა განხორციელდეს ერთი რეისი ორივე მიმართულებით, თუ ნებართვაში სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ყოველწლიურად გადასცემენ ერთმანეთს ტვირთების გადაზიდვებზე ნებართვების ბლანკების შეთანხმებულ რაოდენობას.

მუხლი 6

ამ შეთანხმების მე-5 მუხლში აღნიშნული ნებართვები არ ესაჭიროება შემდეგ გადაზიდვებს:

a) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გათვალისწინებული ექსპონატების, მოწყობილობების და მასალების გადაზიდვას;

b) საგრანსპორტო საშუალებების, ცხოველების ასევე სხვადასხვა ინვენტარისა და საკუთრების გადაზიდვას, რომელიც გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

c) თეატრალური დეკორაციებისა და რეკვიზიტების, კინოგადაღებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემებისათვის გათვალისწინებული მუსიკალური ინსტრუმენტების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გადაზიდვას;

d) მიცვალებულთა ნეშტისა და ფერფლის გადატანას;

e) საფოსტო გადაზიდვას;

f) მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვას;

g) მოძრავი ქონების გადაზიდვას გადასახლების შემთხვევაში;

h) იმ გვირთის გადაზიდვას, რომლებიც გათვალისწინებულია სტიქიური უბედურების შემთხვევაში დახმარების აღმოსაჩენად;

i) გვირთების გადაზიდვას ავტომობილებით, რომელთა გვირთამწეობა შეადგენს 3,5 ტონას და რომლის საერთო მასაა 6 ტონამდე ჩათვლით.

j) იმ გვირთების გადაზიდვას, რომელიც გათვალისწინებულია ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

ნებართვები ასევე არ მოეთხოვება ტექნიკური დახმარების ავტომობილების გასვლას.

2. ის გამონაკლისები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ც“, ქვეპუნქტებში, მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ გვირთი ექვემდებარება უკან დაბრუნებას იმ ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, ან გვირთი გადაიზიდება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

3. შერეულ კომისიას, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების 23 მუხლით, შეუძლია ამ მუხლის 1-ლ პუნქტში წარმოდგენილი სიის შეცვლა.

მუხლი 7

გადაზიდვას უფლება აქვს განახორციელოს გვირთების გადაზიდვა მეორე მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე, მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემენ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები.

მუხლი 8

1. ერთ-ერთი მხარის ავტოტრანსპორტით მეორე მხარის ტერიტორიაზე საშიში გვირთების გადაზიდვა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოები.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავტოსაგრანსპორტო საშუალებების წონა და გაბარიტები აღემატება იმ მღვრულ ნორმებს, რომლებიც დადგენილია მეორე მხარის ეროვნული კანონმდებლობით, გადაზიდვამ უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა ამ მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან.

3. თუ შეთანხმების ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ნებართვებში ნაჩვენებია გადაზიდვის განსაზღვრული სვლაგები, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ სვლაგებით.

მუხლი 9

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გვირთების გადაზიდვა ხორციელდება იმ ბედლებულით, რომელთა ფორმა შეესაბამება მიღებულ საერთაშორისო ნიმუშებს.

ზოგადი დებულებები მუხლი 10

მგზავრების გადაყვანა და გვირთების გადაზიდვა, რომლებიც ხორციელდება ერთ-ერთი მხარის გადაზიდვების მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე ამ შეთანხმების საფუძველზე, ასევე ავტოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს ამ გადაზიდვებს, ნებართვების არსებობისას, თავისუფლდება გზების გამოყენებისა და შენახვასთან დაკავშირებული ბეგარისა და მოსაკრებლებისაგან, გარდა ბეგარისა, უფასო ალტერნატიული გზის არსებობისას, ფასიანი გზებისა და ხილების გამოყენებაზე.

ეს მუხლი არ ვრცელდება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაზიდვებზე.

მუხლი 11

ავტოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო გადაზიდვებს უნდა ჰქონდეთ თავისი ქვეყნის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები იმ პირობით, რომ საგვირთო ავტომობილებსა და საავტომობილო საწვეარებს ექნებათ საქართველოს ან ლიგვის რესპუბლიკის სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 12

გადაზიდვას არა აქვს უფლება განახორციელოს მგზავრების გადაყვანა ან გვირთის გადაზიდვა მეორე მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის.

მუხლი 13

მგზავრების გადაყვანა ან გვირთის გადაზიდვა ამ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელი დაზღვევის პირობით. გადაზიდვა ვალდებულია წინასწარ დააზღვიოს თითოეული ავტოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს აღნიშნულ გადაზიდვებს.

მუხლი 14

1. ამ შეთანხმების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, ვალდებული არიან მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების თხოვნით, სადაც დარღვევას ჰქონდა ადგილი, თავის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიუხედავად გააგარონ ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება:

a) მისცენ გაფრთხილება გადაზიდვას;

b) მისცენ გაფრთხილება გადაზიდვას განცხადებით, რომ დარღვევის განმეორების შემთხვევაში გარკვეული ვადით შეჩერდება ნებართვა გადაზიდვების განხორციელებაზე ან გაუქმდება ამ მუხლის c) პუნქტის მიხედვით;

c) გარკვეული ვადით შეაჩეროს ან გააუქმოს ამ შეთანხმების საფუძველზე გაცემული ნებართვა.

2. მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს შეაგყობინებენ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

3. ამ მუხლის დებულება არ ათავისუფლებს გადამზიდავს პასუხისმგებლობისაგან, ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 15

სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლით მიმართებაში გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმების დებულებები, რომელთა მონაწილე არის ამ შეთანხმების ორივე მხარე, ხოლო იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ შეთანხმებებით, გამოიყენებულ იქნება თითოეული მხარის შიდა კანონმდებლობა.

მუხლი 16

მძიმე ავადმყოფების გადაყვანისას და ავტობუსით მგზავრების რეგულარული გადაყვანისას, ასევე ცხოველების გადაყვანისა და მალფუჭებადი ტვირთის გადატანის შემთხვევაში სასაზღვრო, საბაჟო და სანიტარული კონტროლი განხორციელდება ურიგოდ.

მუხლი 17

ამ შეთანხმების საფუძველზე გადაზიდვების შესრულებისას საბაჟო გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისაგან და ნებართვებისაგან თავისუფლება მეორე მხარის ტერიტორიაზე შემოგანილი:

a) საწვავი, რომელიც მოთავსებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალების თითოეული მოდელისათვის გათვალისწინებულ ავზებში, რომლებიც კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულნი არიან ძრავის კვების სისტემასთან.

ეს ვრცელდება მხოლოდ იმ საწვავზე, რომელიც მოთავსებულია დამამზადებელი ქარხნის მიერ ავტომობილებზე და საავტომობილო საწვევარებზე დაყენებულ ავზებში, ასევე იმ საწვავზე, რომელიც მოთავსებულია მისაბმელებზე და ნახევარმისაბმელებზე დაყენებულ ავზებში, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან რეფრეკერეგორების სამაცივრო დანადგარების მუშაობისათვის.

b) საპოხი მასალები, იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა გამოსაყენებლად გადაზიდვის დროს.

c) სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალების რემონტისათვის, რომელიც ასრულებს საერთაშორისო რეისს.

2. გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება უკან გატანას, ხოლო გამოცვლილი სათადარიგო ნაწილები გატანილ უნდა იქნეს ქვეყნიდან, ან განადგურდეს, ან ჩაბარდეს შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი წესით.

მუხლი 18

1. ავტობუსის ან სატვირთო ავტომობილის მძღოლმა თან უნდა იქონიოს მის მიერ მართული ავტოსაგრანსპორტო საშუალების კატეგორიის შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო მართვის მოწმობა და ავტოსაგრანსპორტო საშუალების ეროვნული რეგისტრაციის დოკუმენტები.

2. მძლოლის მართვის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობა უნდა შეესაბამებოდეს ქ. ვენაში 1968 წლის 8 ნოემბერს ხელმოწერილ საგზაო მოძრაობის შესახებ საერთაშორისო კონვენციით დადგენილ ნიმუშებს.

3. ნებართვები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვება ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, უნდა იყოს მძლოლთან და შემოწმების მიზნით წარედგინება კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებს, მათი მოთხოვნით.

მუხლი 19

ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული გადახდები იწარმოებს მხარეთა შორის გადახდის დღეს, გადახდის შესახებ მოქმედი შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 20

გადამზიდავი და საგრანსპორტო საშუალების ეკიპაჟი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, ვალდებული არიან დაიცვან იმ ქვეყნის მოძრაობის წესები და კანონები, რომლის ტერიტორიაზეც იქნება ავტოსაგრანსპორტო საშუალება.

მუხლი 21

საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ შეთანხმებით, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის ორივე მხარე, გადაწყდება თითოეული მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22

საკითხებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებებსა და კონსულტაციების გზით.

მუხლი 23

ამ შეთანხმების შესრულების ხელშეწყობისა და წამოჭრილი სადაო საკითხების გადასაწყვეტად, მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ქმნიან შერეულ კომისიას. შერეული კომისიის სხდომები გაიმართება რიგ-რიგობით ორივე სახელმწიფოს ტერიტორიებზე.

მუხლი 24

ეს შეთანხმება არ ეხება მხარეთა იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს მათ მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

მუხლი 25

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, როდესაც მხარეები დიპლომატიური არხების მეშვეობით შეატყობინებენ ერთმანეთს, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი საკანონმდებლო პროცედურები შესრულებულია თითოეულ ქვეყანაში.

2. ეს შეთანხმება ხელმოწერილია 5 (ხუთი) წლის ვადით და შემდგომში მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ერთწლიანი პერიოდებით, ვიდრე ერთ-ერთი მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე 3 (სამი) თვით ადრე არ შეაგყობინებს მეორე მხარეს ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1966 წლის „.....“ აპრილს, ორ პირად, ქართულ, ლიგურ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს. ამ შეთანხმების დებულებათა განმარტების დროს წარმოშობილი ამრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საფუძვლად მიიღება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს
მთავრობის სახელით

ლიგვის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით